მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამა

პროექტი Log in Georgia

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა (სამუშაო ვერსია)

ბოლო განახლების თარიღი-19 ივნისი, 2025

სარჩევი

შესავალი 3

დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმის მიზანი 3

პროექტის აღწერა 4

პროექტთან დაკავშირებულ აქტივობებში დაინტერესებული მხარეების წინასწარი ჩართულობის შეჯამება 8

დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი 22

დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმა 25

რესურსები და პასუხისმგებლობები დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის 30

საჩივრების განხილვის მექანიზმი 31

დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმის მონიტორინგი და მის შესახებ ანგარიშგება ... 34

შესავალი

პროექტი Log in Georgia ხორციელდება ფართოზოლოვან ინტერნეტზე ხელმისაწვდომების გაზრდისა და სოფლად მცხოვრები ადამიანებისა და საწარმოების მიერ მისი მოხმარების ხელშეწყობის მიზნით. IBRD -ისა და შეთავაზებული პროექტის კომბინირებული დაფინანსება ხელს შეუწყობს საქართველოს სოფლის დასახლებებში აქტივობების განხორციელებას, რომლებიც: (1) სამიზნე დასახლებებში, გააფართოებენ წვდომას ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებაზე; და (2) ხელს შეუწყობენ მის მოხმარებას ადამიანებისა და საწარმოების მიერ.

პროექტს განახორციელებს Open Net NNLE[1], საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინსიტროს (MOESD) ხელმძღვანელობით. სხვა უწყებები, როგორიცაა: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (ComCom), და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინსიტრო ასევე ჩართულნი იქნებიან განხორციელების პროცესში, როგორც კონკრეტული აქტივობის თანა განმახორციელებლები, მათი მანდატების შესაბამისად.

დაინტერესებული მხარეების ჩართვის წინამდებარე გეგმა (SEP) მოამზადა Open Net -მა პროექტისთვის Log-In Georgia, მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვის და სოციალური ჩარჩოს და კონკრეტულად დაინტერესებული მხარეების ჩართვის და ინფორმაციის გამჟღავნების გარემოსდაცვითი და სტანდარტების (ESS 10) შესაბამისად. SEP -ის მომზადება და განხორციელება წარმოადგენს საქართველოს მთავრობის და Open Net -ის პასუხისმგებლობას, პროექტისათვის Log-In Georgia გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, და პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის გეგმის (ESCP) შესაბამისად.

დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმის მიზანი

დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმა (SEP) შემუშავებულია მსოფლიო ბანკის (WB) მოთხოვნების შესაბამისად. გეგმის მიზანია პროცესში ეფექტურად ჩართოს ყველა მხარე რომელსაც აქვს პროექტის მიმართ ინტერესი ან შესაძლოა აღმოჩნდეს მისი გავლენის ქვეშ.

ადგილობრივი მოსახლეობის, ისევე როგორც სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უმნიშვნელოვანესია პროექტის წარმატებისთვის, ის უზრუნველყოფს თანმიმდევრულ თანამშრომლობას პროექტის გუნდსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, მინიმუმამდე ამცირებს და არბილებს პროექტთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, ამასთან პროექტის სარგებელს ავრცელებს

[1] არა სამეწარმეო და არა მომგებიანი იურიდიული პირი

ყველა სამიზნე ბენეფიციარზე, მათ შორის ტრადიციულად მოწყვლად, შესაძლებლობებს მოკლებულ ადამიანებზე, რომლებიც ხშირად არაპროპორციულად ან სრულიად ვერ იღებენ სარგებელს ადგილობრივად განხორციელებული განვითარების პროექტებისაგან.

დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმის (SEP) მიზანია სამიზნე ჯგუფების და დაინტერესებული მხარეების ჩართვის მეთოდების და დაინტერესებული მხარეების ჩართვის აქტივობების განხორციელების პასუხისმგებლობების მიმოხილვა. დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმის განზრახვა არის დაინტერესებული მხარეების მართვის დროულად ამოქმედება პროექტის მომზადებისა და განხორციელების პროცესში. კერძოდ, დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმა ემსახურება შემდეგ მიზნებს:

I. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი;
II. ჩართულობის მეთოდების და კონსულტირებისა და გამჟღავნების ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმების დაგეგმვა;
III. სხვადასხვა მონაწილეების როლების და პასუხისმგებლობების გასაზღვრა, SEP -ის განხორციელების პროცესში;
IV. პროექტის საჩივრების მექანიზმის განსაზღვრა (GRM); და
V. უკუკავშირის უზრუნველყოფა დაინტერესებული მხარეებისთვის;
VI. SEP -ის მონიტორინგი და ანგარიშგება მის შესახებ.

პროექტის აღწერა

პროექტის Log in Georgia მიზანია ფართოზოლოვან ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ადამიანებისა და საწარმოების მეირ მისი მოხმარების ხელშეწყობა სამიზნე დასახლებებში, სოფლად. პროექტი შედგება სამი კომპონენტისაგან:

<u>კომპონენტი 1: ფართოზოლოვან ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდა</u>

ეს კომპონენტი ხელს შეუწყობს ფართოზოლოვან ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდას საქართველოს სოფლის დასახლებებში და გააუმჯობესებს ციფრული განვითარების ხელშემწყობ გარემოს. ქვეკომპონენტი 1.1 ხელს შეწყობს მთავრობის Open Net Program -ს (ღია ქსელის პროგრამა), რომელიც მიზნად ისახავს ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის გაფართოვებას სოფლის დასახლებებში. ქვეკომპონენტი 1.2 დააფინანსებს აქტივობებს საქართველოში ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

ქვეკომპონენტი 1.1: Open Net Program -ის მხარდაჭერა

მთავრობის Open Net Program მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურის განვითარებას,

საბითუმო, ფართოზოლოვანი ტელეკომუნიკაციის სერვისების შეთავაზების მიზნით. ON Program აღმოფხვრის ფართოზოლოვან ინფრასტრუქტურაში მუდმივად არსებულ ხარვეზს, რომელსაც მხოლოდ კერძო ინვესტიცია ვერ გაუმკლავდება გონივრულ ვადაში. ეს ქვეკომპონენტი აფინანსებს ინფრასტრუქტურის დაპროექტებას, მშენებლობასა და მონტაჟს 800 -მდე დასახლებაში, რომლებსაც კომუნიკაციების კომისია მიიჩნევს დასაშვებად ON ქსელში ჩართვისთვის (სულ 2500 დასახლება საქართველოს მასშტაბით). ქსელის გაყვანა ხდება ეტაპობრივად, ობიექტური კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომელთა შორისაა ტექნიკური განხორციელებადობა და მოთხოვნის შეფასება მომსახურების მომწოდებლებთან კოორდინაციით.

ქვეკომპონენტი 1.2: ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესება

ეს კომპონენტი მხარს უჭერს აქტივობებს, რომელთა მიზანია საქართველოში ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესება. აღნიშნული მოიცავს სამართლებრივი პოლიტიკის და რეგულირების მექანიზმების შემუშავებას, ასევე ინვესტიციების მოზიდვის ზომების დაგეგმვას, რაც თავის მხრივ ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია (2020). ქვეკომპონენტი ასევე მოიცავს უცხოელ და კერძო ინვესტორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობას, საქართველოს ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ინვესტორების მოზიდვის მიზნით.

<u>კომპონენტი 2: ფართოზოლოვანი ციფრული სერვისების ხელშეწყობა</u>

ეს კომპონენტი ხელს უწყობს საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარებას, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის გამოყენების ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესების და ციფრულ ეკონომიკაში ადამიანების მონაწილეობის ხელშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრის გზით. ქვეკომპონენტი 2.1 აძლიერებს საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობ გარემოს საქართველოში. კომპონენტი 2.2. განსაზღვრავს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობას მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად სამიზნე დასახლებებში და მომხმარებელთა სპეციფიური ჯგუფებისთვის. ქვეკომპონენტი 2.3 ხელს უწყობს სპეციფიური ჯგუფების ციფრულ ინკლუზიას, ანუ ჯგუფებისა რომლებმაც შესაძლოა ვერ ისარგებლონ ციფრული შესაძლებლობებით.

ქვეკომპონენტი 2.1: ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი გარემო

ეს ქვეკომპონენტი ხელს უწყობს აქტივობებს, რომელთა მიზანია ციფრული განვითარების ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესება საქართველოში. აღნიშნული

მოიცავს სამართლებრივი პოლიტიკის და რეგულირების ინსტრუმენტების შემუშავებას და ინვესტიციების მოზიდვის ზომების გატარებას, რაც განისაზვრება ციფრული ეკონომიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში 2025-2030 წლებისათის.

ქვეკომპონენტი 2.2: გამოყენების ხელშეწყობა

ქვეკომპონენტი ხელს უწყობს ფართოზოლოვანი კავშირის გამოყენებას სამიზნე დასახლებებში. კონკრეტული დავალებები ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების და მოქალაქეების ჩართულობას, სამიზნე დასახლებებში სხვადასხვა პროგრამების განხორციელების მიზნით (პირველ ეტაპზე განათლება, ჯანდაცვა და ფინანსური მომსახურებები), ასევე ფასილიტატორების მობილიზებას ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისთვის. ეს აქტივობები განხორციელდება სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით, რათა ფართოდ გავრცელდეს ინფორმაცია ციფრული პლატფორმების განვითარების და გამოყენების შესახებ.

ქვეკომპონენტი 2.3: ციფრული ჩართულობის გაუმჯობესება

ეს კომპონენტი აფინანსებს მიზნობრივ ინტერვენციას სოფლის მოსახლეობის ციფრული ინკლუზიისათვის, მათ შორის იმ ადამიანების რომელთა წინაშე არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები, ციფრული წიგნიერების თუ ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ესენი შესაძლოა იყვნენ ასაკოვანი კაცები და ქალები, ეთნიკური უმცირესობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და არა აქტიური ახალგაზრდები. აღნიშული მოიცავს მობილიზაციის და ტრენინგის პროგრამების დიზაინსა და იმპლემენტაციას, იდენტიფიცირებულ ჯგუფებში ციფრული ექსკლუზიის მიზეზების აღმოფხვრის მიზნით (პირველ რიგში ორიენტაცია იქნება ეთნიკურ უმცირესობებზე, ასაკოვან ადამიანებზე, შშმ პირებზე, შინამეურნეობებზე რომელთა უფროსები ქალებია არიან, ახალგაზრდებზე რომლებიც არ არიან ჩართული დასაქმებაში, განათლებასა თუ ტრენინგში). ეს პროექტი ასევე მხარს დაუჭერს პილოტური პროგრამის დიზაინსა და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ ტექნოლოგიას შშმ პირების ციფრული აკომოდაციისთვის სამიზნე დასახლებებში. პროექტის ყველა აქტივობის ზეგავლენის მონიტორინგის ხელშეწყობა, ორიენტაციით (დასახლების საჭიროების შესაბამისად) ასაკოვან ქალებსა და კაცებზე, შინამეურნეობებზე რომელთა უფროსები ქალები არიან, სოციალურ უმცირესობებზე და შშმ პირებზე, ასევე შეტანილი იქნება ამ ქვეკომპონენტში.

კომპონენტი 3: პროექტის იმპლემენტაციის ხელშეწყობა

ეს კომპონენტი ხელს უწყობს პროექტისა და მასთან დაკავშირებული აქტივობების, მათ შორის შესაძლებლობების გაუმჯობესების მართვასა და განხორციელებას. აღნიშნული გულისხმობს კონსულტანტების დაქირავებას წამყვანი

მიმართულებებით, როგორიცაა: პროექტის მენეჯმენტი, ტექნიკური ექსპერტიზა, შესყიდვები, ფინანსური მენეჯმენტი, გარემოს დაცვა, სოციალური საკითხები, მონიტორინგი და შეფასება, კომუნიკაციები და მოქალაქეების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რათა შესაძლებელი გახდეს პროექტის განხორციელება. ამ პროექტის კონტექსტში, შესაბამისი საჯარო მოხელეები გაივლიან ტრენინგებს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების ზომების შესახებ, როგორიცაა: საგანგებო რეაგირების პროცედურები ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში, ტელეკომის ქსელების სწრაფად აღდგენის და მომსახურების მწყობრიდან გამოსვლის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

დამატებითი დაფინანსება (AF) ძირითადი პროექტისთვის მოთხოვნილია მთავრობის მიერ ქვე-კომპონენტ 1.1-ის ფარგლებში — საშუალო მონაკვეთის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის აშენებისას გაწეული ხარჯების გაზრდის გამო. ხარჯების გადაჭარბება გამოწვეულია 2022-2024 წლებში ქსელის განვითარების სამშენებლო ღირებულების სტაბილური ზრდით (ამ პერიოდში 1 კმ-ის ღირებულება გაორმაგდა). ღირებულების ზრდა უკავშირდება COVID-19-ის შემდგომ ინფლაციურ ზეწოლას და შედეგად წარმოქმნილ ლოჯისტიკურ პრობლემებს (მაგალითად, ცემენტის და კაბელების გამტარების მიწოდების მხრივ), რომლებიც კიდევ უფრო გაუარესდა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შედეგად. გარდა ამისა, კონტრაქტორებმა ვერ ისარგებლეს ეკონომიით მასშტაბზე ისეთი მასალებისა და საქონლის შემთხვევაში, როგორიცაა ცემენტი, განსხვავებით იმ ქვეყნებისა, სადაც მსგავსი სამუშაოები უფრო ფართო მოცულობით ხორციელდება. შედეგად, IBRD-ისა და EIB-ის არსებული დაფინანსება ქსელის მშენებლობის დასრულების საშუალებას აღარ იძლევა და პროექტს არ მისცემს ყველა დაგეგმილი სოფლის დასახლებების დაფარვის და მისი განვითარების მიზნების მიღწევის საშუალებას.

როგორც ქვემოთ მოყვანილ რუკაზე (ფიგურა 1) ჩანს, რომ დაგეგმილი ქსელი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში (ღია ლურჯი ხაზებით აღნიშნული) დარჩება დაუსრულებელი დამატებითი ფინანსების გარეშე. ეს პირდაპირ საფრთხეს უქმნის Open Net-ის ოპერაციულ მდგრადობას, რადგან მისი ბიზნეს-მოდელი დამოკიდებულია ძლიერი, მთელ ქვეყანაზე გავრცობილ ქსელზე, რომელიც, ასევე, შესაძლებელს ხდის მეზობელ ქვეყნებთან ტრანზიტს.



სურ.1 Open Net-ის დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი მშენებლობები;

პროექტთან დაკავშირებულ აქტივობებში დაინტერესებული მხარეების წინასწარი ჩართულობის შეჯამება

პროექტი Log in Georgia დააფინანსებს ცნობიერების ამაღლების ან შესაძლებლობების გაუმჯობესების ან ტრენინგ პროგრამების დიზაინსა და მიწოდებას, ON network -ით დაკავშირებულ დასახლებებში ციფრული კავშირის მრავალმხრივი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით. ამ ეტაპზე განსაზღვრულია გამოყენების <u>ხუთი ტიპი: განათლება, ჯანდაცვა, ფინანსური ინკლუზია, დასაქმება</u> და <u>სამთავრობო მომსახურებების ხელმისაწვდომობა.</u> პირველი სამი მათგანი აყალიბებს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული პირველი ფაზის ნაწილს.გამოყენების ამ შემთხვევებთან ერთად, პროექტი გამოიყენებს ქვემოდან ზემოთ მიდგომას, თემის მიერ წარმართული კონსულტაციების, მობილიზაციის და პრიორიტეტული სათემო აქტივობების გზით, რათა განისაზღვროს და განვითარდეს შესაძლებლობები და უნარები ადგილობრივი პრიორიტეტული სფეროების მიმართულებით (კომპონენტი 2). ამ კომპონენტს მართავს კომუნიკაციების კომისია. პროექტი შექმნის ბენეფიციარის შეყვანის სიტემას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მონიტორინგის მხარდაჭერის და პროექტის მსვლელობისას მის ზეგავლენასთან ადაპტირების მიზნით.

ძირითადი პროექტის დაწყების წინ ჩატარდა წინასწარი კვლევები და კონსულტაციები, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (ძირითადი სამთავრობო უწყებები) მოსაზრებების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების და მოლოდინების უკეთ გააზრების მიზნით, რაც საჭიროა პრიორიტეტული გამოყენების შემთხვევების პირველადი შერჩევისთვის. აღნიშნული აღწერილია ქვემოთ მოცემულ 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1. დაინტერესებული მხარეების წინასწარი ჩართვის აქტივობების შეჯამება

თარიღი & მდებარეობა	დაინტერესებული მხარეები	ფორმატი და ამოცანები	შედეგი
აპრილი 2018 თბილისი	• ტ ელ ეკო მის ოპერატორები • ინტერნეტ სერვისის მომწოდებლები (ISPs)	სამუშაო შეხვედრა/კვლევა სექტორის შიგნით ბაზრის დინამიკის კვლევა - როგორც მიწოდების ისე მოთხოვნის მხარეს.	ოპერატორების მიერ აღნიშნული გამოწვევები: კონკურენცია, სამართლიანი რეგულაციები, ინფრასტრუქტურაზე წვდომა, ინფორმაციაზე წვდომა, ნებართვის გაცემა და საბითუმო ბაზრის ფასები.
ივნისი 2018 თბილის	• სამთავრობო უწყებები • ტელეკომის ოპერატორები • ენერგეტიკის ოპერატორები • CSO წარმომადგენლები • მეცნიერები	სამუშაო შეხვედრა ფართოზოლოვანი ბაზრის დიაგნოსტიკის შედეგები და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შესახებ (NBDS).	კონსულტაციებმა ხელი შეუწყო კონკრეტული პოლიტიკის და მარეგულირებელი მექანიზმების შექმნას, რაც შესაძლოა დაეხმაროს ფართოზოლოვანი ქსელის ამოქმედებას, ინფრასტრუქტურის ალტერნატიული წყაროების აქტივაციას (მაგალითად: კომუნალური მომსახურებების საკუთრებაში არსებული), და ხელი შეუწყოს კონკურენტულ და არა დისკრიმინაციულ წვდომას

			ტელეკომუნიკაციის ქსელებზე. გუნდმა მიაღწია კონსენსუსს, იმასთან დაკავშირებით რომ საქართველომ უნდა გაიზიაროს ევროკავშირის მიდგომა სახელმწიფო დახმარების მიმართ, კერძო ინვესტიციების მიზიდვის და პოლიტიკური და მარეგულირებელი მექანიზმების უტილიზაციის გზით, რათა გაფართოვდეს ბაზარი, თუნდაც სახელმწიფო სერვისების ინვესტირების გზით, რათა გაფართოვდეს წვდომა ბაზრის არა სიცოცხლისუნარიან სეგმენტებზე.
სექტემბერი 2018 თბილისი	• სამთავრობო უწყებები • ევრო კავშირის წარმომადგენლობა	სამუშაო შეხვედრა მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შესახებ (NBDS)	სამუშაო შეხვედრების მონაწილეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროცესში, რაც სტრატეგიის განხორციელებისას პრაქტიკულ მოსაზრებებში აისახა. მათ დაადასტურეს თანხმობა რეკომენდებულ მიზნებზე და მხარი დაუჭირეს რეკომენდებულ NBDS მიმართულებებს და პრიორიტეტებს.

ოქტომბერი 2018 • ლანჩხუთი • ბათუმი • ლაგოდეხი • თელავი	• უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები • დასაქმებული/დაუსაქმებელი პირები • კერძო სექტორის წარმომადგენლები • მცირე ბიზნესის მფლობელები • ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები • ონლაინ გაყიდვების მომსახურებები • სექსუალური/ეთნიკური უმცირესობები • იძლებით გადაადგილებულ პირთა თემი	დისკუსიები ფოკუს ჯგუფებში და სიღრმისეული ინტერვიუები[2] სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება ფოკუს ჯგუფებთან, განსაკუთრებული ყურადღებით ოთხი სამიზნე ტერიტორიის მიმართ, რათა დააკვირდეთ როგორ აღიქვამენ ადგილობრივები ინტერნეტს, რა სარგებელს იღებენ მისგან რა ხარისხის ინტერნეტს იღებენ, ეხმარება თუ არა ეს მათ თანხის/დროის დაზოგვაში ან მიღებაში, რამდენად იყენებენ მას როგორ ინფორმაციის წყაროს, რამდენად ეხმარებათ განათლების მიღებაში, რამდენად ეხმარებათ უნარების განვითარებაში და სხვა.	31 ინტერვიუ ჩატარდა და კვლევის შედეგები აისახა ანგარიშში. ინტერვიუების და 7 მოკლე რეალური ისტორიის საფუძველზე მომზადდა სტატია „ინტერნეტმა ადამიანების ცხოვრება შეცვალა“.
ივლისი 2019 კორბოული	მოქალაქეთა ფოკუს ჯგუფები: ჯგუფი 1: უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები დაუსაქმებელი კაცები/ქალები დასაქმებული ზრდასრული ქალები/კაცები/ქალი მეწარმეები დიასახლისები ასაკოვანი ადამიანები ჯგუფი 2: არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები სკოლის/საბავშვო ბაღების დირექტორები თემის ლიდერები სოფლის ხელმძღვანელები ISP (ინტერნეტ სერვისის მომწოდებლები)	დისკუსიები ფოკუს ჯგუფში „ციფრული ინკლუზიის და ექსკლუზიის’ საკითხებზე ინტერვიუების ჩატარება ფოკუს ჯგუფებში, ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა მოსაზრებების, მათი ციფრული ინკლუზიის დონის და ექსკლუზიის მიზეზების შესწავლის მიზნით.	დისკუსიები ასახავს მოქალაქეთა დამოკიდებულებებს და აღქმებს, ინფორმაციას ინტერნეტზე წვდომის. ინტერნეტის მოხმარების, ცნობიერების და უნარების და ციფრული ინკლუზიის წინაშე არსებული ბარიერების შესახებ.

[2] პროექტის მომზადების ეტაპზე, ფოკუს ჯგუფებში დისკუსია და ინტერვიუები ჩაატარეს მსოფლიო ბანკის გუნდმა, Open Net-მა, და მსოფლიო ბანკის ახალგაზრდული ხმების ჯგუფმა, მოსახლეობის ჯგუფებთან და სახვადასხვა ადგილებში საქართველოში, რათა წარმოდგენილი ყოფილიყო დასავლეთ, აღმოსავლეთ, ცენტრალურ, მთიან რეგიონებსა და ხეობაში მცხოვრები ადამიანების მოსაზრებები.

	ეკლესიის წარმომადგენლები და სხვა		
სექტემბერი 2019 • ზემო ქედი • ქვემო ქედი	მოქალაქეთა ფოკუს ჯგუფები: ჯგუფი 1: უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები დაუსაქმებელი კაცები/ქალები დასაქმებული ზრდასრული ქალები/კაცები/ქალი მეწარმეები დიასახლისები ასაკოვანი ადამიანები ჯგუფი 2: არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები სკოლის/საბავშვო ბაღების დირექტორები თემის ლიდერები სოფლის ხელმძღვანელები ISP (ინტერნეტ სერვისის მომწოდებლები) ეკლესიის წარმომადგენლები და სხვა	„ციფრული ინკლუზიის და ექსკლუზიის' საკითხებზე ინტერვიუების ჩატარება ფოკუს ჯგუფებში, ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა მოსაზრებების, მათი ციფრული ინკლუზიის დონის და ექსკლუზიის მიზეზების შესწავლის მიზნით.	დისკუსიები ასახავს მოქალაქეთა დამოკიდებულებებს და აღქმებს, ინფორმაციას ინტერნეტზე წვდომის. ინტერნეტის მოხმარების, ცნობიერების და უნარების და ციფრული ინკლუზიის წინაშე არსებული ბარიერების შესახებ.
ნოემბერი 2019 თბილისი	• MOESD • MOF • ComCom • OpenNet • MDF	პირისპირ კონსულტაციები LIG Project IPF-ის მომზადების მიზნით, და დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის PDO-ს, პროექტის კომპონენტების და შედეგების ინდიკატორების განხილვა, განსაკურებული ყურადღებით გეგმის განხორციელების ფარგლებზე Open Net-სთვის.	კონსულტაციების შედეგად მიღწეულია ძირითადი შეთანხმებები: (i) ON program -ის განხორციელების შესახებ მთავრობის რეზოლუციების განახლება , (ii) პრაქტიკული სამუშაო შეხვედრის ორგანიზება ლიეტუვას RAIN პროექტის მართვის გუნდთან ერთად, პროგრამის დიზაინის და იმპლემენტაციის მიმოხილვის მიზნით
დეკემბერი 2019 • ჩხოროწყუ • ზუგდიდი • ოზურგეთი	ყველა ასაკის, სქესის, განათლების და თანამდებობის მოქალაქე, მცხოვრები ნებისმიერ ადგილზე	ინტერნეტ (facebook) კვლევა, რომელსაც მოყვა პირისპირ სამუშაო შეხვედრები ოთხ ლოკაციაზე	სულ 110 მონაწილე. სამუშაო შეხვედრები ჩატარდა მონაწილეთათვის მათთვის

• ლანჩხუთი		საქართველოს ოთხი მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის ინტერნეტის სწორად მოხმარების სარგებლის გაცნობა, ტრენინგის - „ინტერნეტი ზრდისა და განვითარებისთვის“ მეშვეობით. მან მოიცვა შემდეგი თემები: • ინტერნეტის სარგებელი • ახალი ამბების მოძიების მექანიზმები: როგორ განვსაზღვროთ რეალური და ყალბი ნიუსები • ონლაინ საგანმანათლებლო/ტრენინგ კურსები პერსონალური ზრდისა და განვითარებისთვის • ინტერნეტის გამოყენება თქვენი ბიზნესის პოპულარიზაციისთვის • როგორ განვსაზღვრო რეალური და ყალბი ნიუსი • ონლაინ დაგეგმვის მექანიზმების გამოყენება პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით • ინტერნეტთან დაკავშირებული საფრთხეები	საინტერესო საკითხების გაცნობის მიზნით (მაგალითად: ინტერნეტის გამოყენება სწავლისთვის, ბიზნესის დასაწყებად და სხვა) ონლაინ კვლევის საფუძველზე გამოვლინდა როგორ იყენებენ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები ინტერნეტს და ინტერნეტთან დაკავშირებული რომელი თემების შესწავლა სურთ

პროექტის პოტენციურ ბენეფიციარებთან კონსულტაციების საფუძველზე, სამთავრობო პროგრამების გათვალისწინებით და მოხმარების მიმდინარე ტენდენციების მიხედვით განვსაზღვრეთ ხუთი თემა:

(1) *ელექტრონული სწავლება*: ონლიან სწავლება გასული ათწლეულის მანძილზე ფართოდ გავრცელდა, მაგრამ COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში, მისი მეტად ინტეგრირება მოხდა სასწავლო პროცესში. პოტენციურმა ბენეფიციარებმა, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებმა ახალგაზრდებმა დიდი ინტერესი გამოხატეს ონლაინ სწავლებაზე წვდომის გაუმჯობესების მიმართ. ეს აქტივობა ასევე უკავშირდება მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ I2Q

(განათლების პროექტს), რომელიც მიზნად ისახავს სკოლებისთვის მაღალი ხარისხის ინტერნეტ მომსახურებაზე წვდომის გაუმჯობესებას.

(2) *ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და მომსახურებები*: საქართველოში, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 40 პროცენტი აცხადებს, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ონლაინ ეძებს, ქალაქად ეს მაჩვენებელი 58 პროცენტს შეადგენს. COVID-19 პანდემიის პირობებში, როდესაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ზუსტი, საიმედო და დროულ ინფორმაციასა და სერვისებზე წვდომის საჭიროება, პროექტი პრიორიტეტად განსაზღვრავს დაკავშირებული დასახლებების ცნობიერების ამაღლებას მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი ჯანდაცვის მომსახურებების და არსებული ონლაინ ინფორმაციის შესახებ.

(3) *დასაქმება*: საქართველოში, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 13 პროცენტი აცხადებს, რომ 2019 წელს ინტერნეტის მეშვეობით იპოვა სამსახური ან გააგზავნა აპლიკაცია, ქალაქად ეს მაჩვენებელი 21 პროცენტია. ეს მიუხედავად სოფლად მცხოვრები ადამიანების წარმოდგენისა, რომ კარგი სამუშაო მხოლოდ ქალაქშია. მსოფლიო ბანკის ანალიზმა გამოავლინა, რომ მაღალი სეგმენტაცია ქალაქად ფორმალურ დასაქმებასა და სოფლად არა ფორმალურ დასაქმებას შორის, ხასიათდება მაღალი განათლების კვალიფიკაციებით და ქალების დაბალი მონაწილეობით. მაშასადამე, პროექტი ხაზს გაუსვამს ბენეფიციარების შესაძლებლობებს, ონლაინ მოიძიონ სამუშაო და გაიუმჯობესონ უნარები (ელექტრონული სწავლების მეშვეობით), მეტიც იმუშაონ ონლაინ.

(4) *ფინანსური ინკლუზია*: სოფლად მცხოვრები ყოველი მეხუთე ქართველი - ინტერნეტ ბანკინგში 2019 წელს ჩაერთო. ეს დაბალი მაჩვენებელია, როდესაც საბანკო ანგარიშის მფლობელთა რაოდენობა 60 პროცენტია. 2017 წელს სოფლად მცხოვრებ ქართველთა მხოლოდ 9 პროცენტი იყენებდა ინტერნეტს გადასახადების გადასახდელად. ეს პროექტი ცდილობს აამაღლოს ცნობიერება ციფრული ფინანსური მომსახურებების შესახებ, განსაკურებული ყურადღებით სოფლად მცხოვრები ღარიბების მიმართ. აღნიშნული განხორციელდება ციფრული ფინანსური ინკლუზიის შესახებ ბანკის მიერ დაგეგმილი ASA -ს შედეგებზე დაყრდნობით.

(5) *მუნიციპალური მომსახურებები*: მთავრობამ მოქალაქეებს ელექტრონული მომსახურებების ფართო სპექტრი მიაწოდა. მათ შორისაა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით უზრუნველყოფილი მუნიციპალური ელექტრონული სერვისები. პროექტი აღნიშნულ სამუშაოს სრულყოფს მოქალაქეთა

ცნობიერების ამაღლებით, ონლაინ მომსახურებების გამოყენების და ადგილობრივ მთავრობებთან თანამშრომლობის შესახებ.

პროექტი ასევე ხელს შეუწყობს მოქალაქეების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გზით გამოკვეთილი გამოყენების სხვა შემთხვევების პოპულარიზაციას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს სოფლის მეურნეობის, მცირე მასშტაბიანი ტურიზმი ან ბუნებრივი რესურსების მართვის ხელშეწყობას. განხორციელებისას თავიდან იქნება აცილებული არსებული პროგრამების დუბლირება; სადაც პროგრამები არსებობს (მაგალითად: ელექტრონული კომერციის მხარდაჭერა, ტურიზმი), პროგრამა ჩართავს აღნიშნულ უწყებებს პროგრამის მიწოდების პროცესში. წინასწარი კონსულტაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ინფორმაციის ტიპს, კონსულტირებისა და ჩართულობის არხებს, რომლებზეც არჩევანს აკეთებენ ადგილობრივი მცხოვრებლები. აღნიშნული მოიცავს ვირტუალური და ფიზიკური გარემოს კომბინაციას, როგორიცაა სოციალური მედია, ადგილობრივი ხელისუფლების ლოკაციები, ბეჭდური და აუდიო ვიზუალური მედია, ასევე ურთიერთობას პროექტის აქტივობებსი განხორციელების მიზნით დანიშნულ საკონტაქტო პირთან.

COVID-19 პანდემიის ზეგავლენის და მისი შედეგების გათვალისწინებით, პროექტი მხარს დაუჭერს გამოყენების სამ მაგალითს, რომლებიც ახდენენ პირველი რეაგირების ფორმირებას დაწესებულ ზომებსა და მათ გავლენაზე. აღნიშნული მოიცავს: განათლების მხარდაჭერას, არა საგანგებო სამედიცინო მომსახურებების მიწოდებას და ფინანსურ ჩართულუობას.

პროექტის განხორციელების ეტაპზე, „ოუფენ ნეტი“ განაგრძობდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელებას. კომპანიის წარმომადგენელი ეწვია შერჩეულ დასახლებებს და შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას. დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდათ ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ, ინტერნეტის სერვისის სარგებელი და ახალი შესაძლებლობები ადგილობრივი თემებისთვის, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მშენებლობისა და მონტაჟის სამუშაოების ხასიათი და მასშტაბი, პროექტის დაახლოებითი დასრულების თარიღი, საჩივრების განხილვის მექანიზმი, ასევე მშენებლობის საქმიანობებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი, სოციალურ, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ასპექტები. დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის საქმიანობები შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი 2).

ცხრილი 2. პროგრამის განხორციელების ეტაპზე დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის აქტივობების შეჯამება

თარიღი და ადგილმდებარეობა	**დაინტერესებული მხარეები**	**ფორმატი და ამოცანები**	**შედეგი**
აპრილი, 2022 ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტები;	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები; ადგილობრივი სკოლების დირექტორები და მასწავლებლები; ადგილობრივი სამედიცინო ცენტრების წარმომადგენლები; ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები; საბავშვო ბაღების მასწავლებლები; (სოფლები-ღები, ნიკორწმინდა, ურავი, ჭრებალო, ტვიში, ლენტეხი, ოყურეში, ცხუნკური).	შეხვედრა; პროექტის ზოგადი ინფორმაციის მიწოდება; მშენებლობის გრაფიკი; სასურველი მოთხოვნების დაფიქსირება (არსებობის შემთხვევაში).	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ, საბოლოო დაერთებასთან დაკავშირებით არსებული საკითხების, გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) დოკუმენტისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ;
ივნისი, 2022; წყალტუბოს მუნიციპალიტეტი;	ადგოლობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი;	შეხვედრა წარმომადგენელთან და ადგილობრივი მცხოვრებლების პრეტენზიების განხილვა დაგეგმილი აგრეგაციის პუნქტის მშენებლობასთან დაკავშირებით.	აგრეგაციის პუნქტის მშნებებლობისთვის შეირჩა ახალი ლოკაცია.
აგვისტო, 2022; აბაშის, ჩოხატაურისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტები;	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები; ადგილობრივი სკოლების დირექტორები და მასწავლებლები; ადგილობრივი სამედიცინო	შეხვედრა; ზოგადი ინფორმაციის მიწოდება პროექტის შესახებ; მშენებლობის გრაფიკი; სასურველი მოთხოვნების დაფიქსირება (არსებობის შემთხვევაში).	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ, საბოლოო დაერთებასთან დაკავშირებით არსებული საკითხების, გარემოზე

	ცენტრების წარმომადგენლები; ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგნელები; (სოფლები-სუჯუნა, კეთილარი, საჭამიასერი, ბჟოლიეთი, ზემო ნოღა, გორმაღალი).		ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) დოკუმენტისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ;
ოქტომბერი 2022, ამბროლაურის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტები;	სოფელ ნიკორწმინდის მცხოვრებლები; ადგილობრივი მუშები სოფელ კვაცხუთიდან; სოფელ წესის მცხოვრებლები; სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლის წარმომადგენლები;	შეხვედრა და კომუნიკაცია ტელეფონის საშუალებით. სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განხილვა.	საჩივრები არ დაფიქსირებულა.
მარტი 2023, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი;	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები; ადგილობრივი სკოლების დირექტორები და მასწავლებლები; (სოფლები-ზემო ჩხუტუნეთი, აჭარისაღმართი, თხილნარი, ორთაბათუმი).	შეხვედრა; ზოგადი ინფორმაციის მიწოდება პროექტის შესახებ; მშენებლობის გრაფიკი; სასურველი მოთხოვნების დაფიქსირება (არსებობის შემთხვევაში).	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ, საბოლოო დაერთებასთან დაკავშირებით არსებული საკითხების, გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) დოკუმენტისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ.
სექტემბერი, 2023; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი;	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები; ადგილობრივი სკოლების დირექტორები და მასწავლებლები;	შეხვედრა; სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განხილვა.	საჩივრები არ დაფიქსირებულა.

	(სოფლები-ზემო ჩხუტუნეთი, აჭარისაღმართი, თხილნარი, ორთაბათუმი).		
ნოემბერი, 2023; ხობის, ზუგიდიდისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები; ადგილობრივი სკოლების დირექტორები და მასწავლებლები; (სოფლები-შავღელე, ბია, თორსა, ჯუმი, ალერტკარი, ქოყო, კირცხი).	შეხვედრა; ზოგადი ინფორმაციის მიწოდება პროექტის შესახებ; მშენებლობის გრაფიკი; სასურველი მოთხოვნების დაფიქსირება (არსებობის შემთხვევაში).	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ, საბოლოო დაერთებასთან დაკავშირებით არსებული საკითხების, გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) დოკუმენტისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ;
მარტი, 2024; ბაღდათის, თერჯოლისა და ვანის მუნიციპალიტეტები;	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები; ადგილობრივი სკოლების დირექტორები და მასწავლებლები; ადგილობრივი სამედიცინო ცენტრების წარმომადგენლები; ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგნელები; (ქალაქი ბაღდათი, სოფლები-ხანი, საკრაულა, გოდოგანი, საპრასია).	შეხვედრა; ზოგადი ინფორმაციის მიწოდება პროექტის შესახებ; მშენებლობის გრაფიკი; სასურველი მოთხოვნების დაფიქსირება (არსებობის შემთხვევაში).	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ, საბოლოო დაერთებასთან დაკავშირებით არსებული საკითხების, გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) დოკუმენტისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ;
მაისი, 2024; ხონისა და მარტვილის მუნიციპალიტეტები;	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები;	შეხვედრა; ზოგადი ინფორმაციის მიწოდება პროექტის შესახებ;	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია

	ადგილობრივი სკოლების დირექტორები და მასწავლებლები; ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგნელები; (სოფლები- დედალაური, ინჩხური, გორდი, კურზუ, გოდოგანი, ნოღა, კიწია).	მშენებლობის გრაფიკი; სასურველი მოთხოვნების დაფიქსირება (არსებობის შემთხვევაში).	პროექტის შესახებ, საბოლოო დაერთებასთან დაკავშირებით არსებული საკითხების, გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) დოკუმენტისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ;
სექტემბერი, 2024; საჩხერის, თერჯოლისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტები;	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები; ადგილობრივი სკოლების დირექტორები და მასწავლებლები; საბავშვო ბაღების მასწავლებლები; (სოფლები- კორბოული, არგვეთა, პერევი, თუზი, ეწერი, ხრეითი).	შეხვედრა; ზოგადი ინფორმაციის მიწოდება პროექტის შესახებ; მშენებლობის გრაფიკი; სასურველი მოთხოვნების დაფიქსირება (არსებობის შემთხვევაში).	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ, საბოლოო დაერთებასთან დაკავშირებით არსებული საკითხების, გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) დოკუმენტისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ; დაფიქსირდა საჩივარი სოფ. კორბოულის სკოლის მიმდებარედ სამშენებლო დერეფნის აღდგენასთან დაკავშრებით. საჩივარი გადაეცა ზედამხედველ კომპანიას რეაგირებისთვის.
ოქტომბერი, 2024; ჭიათურის მუნიციპალიტეტი;	სოფ. პერევისას მცხოვრებლები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის	შეხვედრა; ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის	სამშენებლო კომპანიამ, ზედამხედველთან

	წარმომადგენლები, მცირე ბიზნესის მფლობელები;	ალტერნატიული მარშრუტის განხილვა.	და „ოუფენ ნეტთან“ შეთანხმებით შეცვალა არსებული მარშრუტი;
თებერვალი, 2025; ხარაგაულისა და ხაშურის მუნიციპალიტეტები;	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები; ადგილობრივი სკოლების დირექტორები და მასწავლებლები; (სოფლები- ნადაბური, ღორეშა, საღანძილე, ტეზერი, ქვიშხეთი, ტაშისკარი).	შეხვედრა; ზოგადი ინფორმაციის მიწოდება პროექტის შესახებ; მშენებლობის გრაფიკი; სასურველი მოთხოვნების დაფიქსირება (არსებობის შემთხვევაში). ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ალტერნატიული მარშრუტის განხილვა;	ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ, საბოლოო დაერთებასთან დაკავშირებით არსებული საკითხების, გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) დოკუმენტისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ. კაბელის ალტერნატიული მარშრუტების ვარიანტების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ზედამხედველ ინჟინერსა და სამშენებლო კომპანიას.

ძირითადი პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობიდან მიღებული გამოცდილება

ძირითადი პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის განხორციელებამ Open Net-ის გუნდისთვის რამდენიმე გამოწვევა გამოავლინა. სოფლებში საზოგადოებასთან მუშაობა ლოგისტიკური, კულტურული და ინფრასტრუქტურული რეალობებით არის განპირობებული, რაც კომუნიკაციისადმი მოქნილი მიდგომების გამოყენებას ითხოვს. თითოეულ დასახლებაში ერთდროული ვიზიტი პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებისთვის ირჩევა შედარებით დაშორებულ სოფლებში ან ისეთი სოფლები,

რომლებიც ადგილობრივ ცენტრის ფუნქციას ასრულებენ. სკოლები და ადგილობრივი ადმინისტრაციები ხშირად წარმოადგენენ შეხვედრების ადგილებს, რადგან ეს დაწესებულებები საზოგადოებისთვის ადვილად მისასვლელი და ნაცნობია, და ამავდროულად საშუალებას იძლევა უფრო ფართო აუდიტორიაზე წვდომას — სკოლის მასწავლებლები ხშირად მეზობელი სოფლებიდან დადიან სამსახურში, რაც ინფორმაციის გავრცელებას ხელს უწყობს. ამ მიდგომას ასევე აქვს გენდერული ჩართულობის ხელშეწყობის ფუნქცია, რადგან სკოლების თანამშრომლების უმრავლესობა ქალებია, რაც მათ წარმომადგენლობას ზრდის საჯარო კონსულტაციებში.

კომუნიკაცია ყველაზე ეფექტურია, როდესაც ის ადაპტირებულია ადგილობრივ საჭიროებებსა და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე. იმ სოფლებში, სადაც ინტერნეტი შეზღუდულია, სიტყვიერი კომუნიკაცია — ადგილზე ვიზიტებისას პირდაპირი საუბრები ან უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების მიმდებარე ტერიტორიებზე არაოფიციალური განხილვები — უფრო ეფექტურია, ვიდრე ბეჭდური მასალები ან ელფოსტა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ მოსახლეობა ხშირად ურჩევნია ზეპირი ფორმით გამოხატოს უკმაყოფილება, ვიდრე წერილობითი გზით, რაც ხაზს უსვამს მოქნილი და სწრაფი რეაგირების საჩივრების განხილვის მექანიზმების აუცილებლობას. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი შეშფოთებები, როგორც წესი, ეხება პრაქტიკულ საკითხებს: მშენებლობის გრაფიკს, დაასრულების ვადებს, საბოლოო დაერთების (last-mile) საკითხს და ინტერნეტის ხელმისაწვდომობას.

Open Net-ის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობებთან დაკავშირებით გამოვლენილი გამოწვევები და მიღებული გამოცდილებაა:

• სირთულეს წარმოადგენს პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ადგილობრივი პრობლემების/საჩივრების დროულად გამოვლენის მიზნით ყველა დასახლებაში ერთდროული ვიზიტების განხორციელება. ამიტომ, ვიზიტები ტარდება ან შედარებით დაშორებულ სოფლებში, ან ისეთებში, რომლებიც ადგილობრივი ცენტრის ფუნქციას ასრულებენ.

• თითქმის ყველა შემთხვევაში, მოსახლეობის ძირითადი შეშფოთება უკავშირდება მშენებლობის გრაფიკს, დაასრულების სავარაუდო თარიღებს, საბოლოო დაერთების (last-mile) საკითხს და ინტერნეტის საფასურს.

• სკოლები და ადგილობრივი ადმინისტრაციები ხშირად გამოიყენება როგორც შეხვედრების ადგილი. სოფლის რაიონებში სკოლები ხშირად მოქმედებს როგორც საზოგადოებრივი ცენტრი. მასწავლებლები ხშირად მეზობელი სოფლებიდან მოდიან, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის გავრცელებას. ამავდროულად, სკოლებში

დასაქმებულთა უმრავლესობა ქალია, რაც ქალთა წარმომადგენლობას ზრდის საჯარო შეხვედრებზე.

• ხანდახან, სამშენებლო კორიდორთან ახლოს მცხოვრებ მოსახლეობასთან ტარდება პირდაპირი კონტაქტი, რათა დადგინდეს, აქვთ თუ არა სამშენებლო პროცესთან დაკავშირებული პრეტენზიები. ასეთ შემთხვევებში ზეპირი კომუნიკაცია უფრო ეფექტურია, ვიდრე წერილობითი.

• გამოცდილება აჩვენებს, რომ ადამიანებს ხშირად ურჩევნიათ უკმაყოფილება ზეპირად გამოხატონ და თავს არიდებენ ფორმალურ წერილობით არხებს.

• მოსახლეობისთვის, რომელსაც შეზღუდული ინტერნეტ წვდომა აქვს, ზეპირი კომუნიკაცია უფრო ეფექტურია, ვიდრე ელფოსტა ან ფლაერები.

დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი

პროექტის დაინტერესებული მხარეები არიან ინდივიდები, ჯგუფები ან სხვა პირები, რომლებიც:

1. არიან პროექტის გავლენის ქვეშ ან სავარაუდოდ იქნებიან, პირდაპირ ან არა პირდაპირ, დადებითად ან უარყოფითად (მათ ასევე მოიხსენიებენ როგორც გავლენის ქეშ მყოფ მხარეებს); და
2. შესაძლოა ჰქონდეთ ინტერესი პროექტის მიმართ (სხვა დაინტერესებული მხარეები). აქ მოიაზრებიან ინდივიდები ან ჯგუფები რომელთა ინტერესზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროექტმა და ვისაც აქვს პოტენციალი რაიმე ფორმით მოახდინოს გავლენა პროექტის შედეგებზე.

პროექტის მსვლელობისას დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა და მოლაპარაკება ასევე მოითხოვს ჯგუფებში იმ პირთა იდენტიფიცირებას, რომლებიც მოქმედებენ როგორც შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჯგუფის ლეგიტიმური წარმომადგენელები, ანუ აქვთ ჯგუფის წევრების ნდობა განხორციელონ მათი ინტერესების ადვოკატირება პროექტის მსვლელობაში ჩართულობისას. თემის წარმომადგენლებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ პროექტის წარმატებით განხორციელებაში და იმოქმედონ როგორც შესაბამისი ინფორმაციის მთავარმა გამავრცელებლებმა და პროექტსა და სამიზნე თემებს და მათ მიერ შექმნილ ქსელებს შორის კომუნიკაციის/ურთიერთობის პირველადმა რგოლმა. დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების ვერიფიკაცია (მაგალითად პროცესში როდესაც ადასტურებენ რომ უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ მათი თემი) კვლავაც მნიშვნელოვან საკითხად რჩება თემში, დაინტერესებულ მხარეებთან კონტაქტის დამყარებისას.

საუკეთესო პრაქტიკის მიდგომებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროექტი იყენებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შედეგ პრინციპებს:

- *გახსნილობა და სიცოცხლის ციკლის მიდგომა:* საჯარო კონსულტაციები პროექტისთვის (პროექტებისთვის)მთელის სიცოცხლის ციკლის მანძილზე გაიმართება ღიად, გარე მანიპულაციების, ჩარევის, იძულების ან დაშინების გარეშე;
- *ინფორმირებული მონაწილეობა და უკუკავშირი*: ინფორმაცია წარდგენა და გავრცელება ხდება შესაბამისი ფორმატით; შესაძლებლობები უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის კომუნიკაციისთვის, კომენტარების და შეშფოთების მიზეზების ანალიზისთვის;
- *ინკლუზიურობა და სენსიტიურობა*: დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებაა ხდება კომუნიკაციის და ეფექტური ურთიერთობების ,მხარდასაჭერად. პროექტში მონაწილეობის პროცესი ინკლუზიურია. ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს კონსულტაციებში, რამდენადაც ამის საშუალებას არსებული გარემოებები იძლევა. ყველა დაინტერესებულ მხარეს თანაბრად მიუწვდება ხელი ინფორმაციაზე. სენსიტიტურობა დაინტერესებული მხარეების საჭიროებების მიმართ, არის მთავარი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ჩართულობის მეთოდების შერჩევას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობათ მოწყვლად ჯგუფებს, კერძოდ ქალებს, ახალგაზრდებს, ასაკოვან ადამიანებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და მრავალფეროვანი ეთნიკური ჯგუფების კულტურულ სენსიტიურობას.

პროექტი Log in Georgia ფართოზოლოვანი ‘middle-mile’ ქსელების მშენებლობის და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობის მეშვეობით იზიდავს დაინტერესებულ მხარეებს მთავრობიდან, კერძო სექტორიდან, ასევე სხვადასხვა რეგიონების/სოფლების მცხოვრებლებს და სხვა დაინტერესებულ ადამიანებს.

ეფექტური და კარგად მორგებული ჩართულობის მიზნებისთვის, შეთავაზებული პროექტის დაინტერესებული მხარეები შესაძლოა დაიყონ შემდეგ ძირითად კატეგორიებად:

- **ზეგავლენის ქვეშ მყოფი მხარეები** – პროექტის გავლენის არეალში (PAI) მყოფი ადამიანები, ჯგუფები და სხვა ერთეულები, რომლებიც პირდაპირ (რეალურად ან პოტენციურად) ექცევიან პროექტის გავლენის ქვეშ და/ან განსაზღვრული არიან როგორც ყველაზე მგრძნობიარენი პროექტთან ასოცირებული ცვლილების მიმართ, და რომლებსაც სჭირდებათ ჩართულობა გავლენის და მისი მნიშვნელობის განსაზღვრის, ასევე გადაწყვეტილების მიღების და

მართვის ზომების შემუშავების პროცესებში. სხვებთან ერთად აღნიშნული მოიცავს შემდეგს:

- მიწის მფლობელები ან მიწით მოსარგებლეები სამშენებლო სამუშაოების მიმდებარე გზაზე (ROW), რომელთა საკუთრებაზე ან შემოსავლებზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროექტმა;
- რეზიდენტები და თემის წევრები, რომლებსაც შესაძლოა დისკომფორტი შეუქმნას სამშენებლო სამუშაოებმა (მაგალითად: ხმაური, ვიბრაცია, ავარიული დაზიანებები);
- ბიზნესის მფლობელები, რომლებსაც შესაძლოა შეექმნათ დისკომფორტი ან მათზე ფინანსურად იმოქმედონ სამშენებლო სამუშაოებმა;
- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ქსელში ჩართულ დასახლებებში და იქ სადაც გადის ქსელი;
- ინტერნეტ მომსახურების მომწოდებლები, როგორც მოწოდებული მომსახურების მთავარი მომხმარებლები;
- სკოლები, საავადმყოფოები და სხვა საჯარო მომსახურების მომწოდებლები სამიზნე დასახლებებში;
- ინტერნეტ და სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მომწოდებლები, რომელთა მომხმარებელზე დაფუძნებულ ბიზნესზე შესაძლოა პროექტმა გავლენა მოახდინოს პროექტზე, საბაზრო პირობების ცვლილების გამო;
- ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები და ბიზნესი, რომელთა საქმიანობაზე შესაძლოა პოზიტიური გავლენა მოახდინოს 2-ე კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულმა პილოტურმა აქტივობებმა (use-case).

სხვა დაინტერესებული მხარეები – ინდივიდები/ჯგუფები/ერთეულები რომლებზეც შესაძლოა პროექტი არ ახდენდეს პირაპირ გავლენას, მაგრამ ვინც მიიჩნევენ რომ მათ ინტერესებზე გარკვეულ გავლენას მოახდენს პროექტი, მისი განხორციელების პროცესში:

- ინდივიდები, ბიზნესები, და ერთეულები ქსელთან დაკავშირებულ დასახლებებში;
- ფართოზოლოვანი მომსახურების ყველა სოფლად მცხოვრები მომხმარებელი, ფართოზოლოვანი მომსახურების ხელმისაწვდომობისა და სანდოობის გაუმჯობესების გამო;
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და სოფლის რწმუნებულები;
- სახელმწიფო და კერძო მომსახურების მომწოდებლები (განათლება, ჯანმრთელობა, ფინანსური მომსახურებები);
- დარგობრივი სამინისტროები, სახელმწიფო უწყებები, და მათი რეგიონული ოფისები, რომლებიც აწვდიან სახელმწიფო სერვისებს,

მაგალითად განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, სოციალური მომსახურების სააგენტო, პოლიცია, იუსტიცია და სხვა;
    - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები;
    - საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს სამიზნე ტერიტორიებზე;
    - სათემო და სოციალური ორგანიზაციები;
    - მშრომელთა კავშირები და პროფესიული კავშირები.
- **მოწყვლადი ჯგუფები** – ადამიანები რომლებზეც შესაძლოა სხვა ჯგუფებთან შედარებით არაპროპორციული გავლენა მოახდინოს ან სხვა ფორმით დააზიანოს პროექტმა (პროექტებმა), მათი მოწვლადი სტატუსიდან[3] გამომდინარე; რასაც შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებული ძალისხმევა მათი თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, პროექტთან დაკავშირებული კონსულტაციების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სხვებთან ერთად აღნიშნული მოიცავს შემდეგს:
    - ქალები;
    - ახალგაზრდები;
    - მოხუცები;
    - იძულებით გადაადგილებული პირები;
    - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
    - ღარიბი და უმუშევარი ადამიანები;
    - ეთნიკური და ენობრივი უმცირესობები.

ასევე გათვალისწინებული იქნება პროექტის განხორციელებისას გამოვლენილი მისი გავლენის ქვეშ მყოფი სხვა მხარეები, დაინტერესებული მხარეები და მოწყვლადი ჯგუფები და მათი საჭიროებები.

დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმა

დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმა ითვალისწინებს საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარებას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, პროექტის დაწყებამდე, ასევე მისი განხორციელების პროცესში, საჭიროების მიხედვით.

კონსულტაციები და ჩართვასთან დაკავშირებული აქტივობები საჭიროა დაინტერესებული მხარეების წინადადებების, მოსაზრებების ან შეშფოთებების გამოსავლენად. ბენეფიციარ და გავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებში, კონსულტაციები ტარდება პირისპირ შეხვედრებით.

[3] მოწყვლადის სტატუსი შესაძლოა ეფუძნებოდეს ინდივიდის ან ჯგუფის რასას, ეროვნულ ან სოციალურ წარმომავლობას, ფერს, სქესს ენას, რელიგიას, პოლიტიკურ ან სხვა შეხედულებას, ქონებას, ასაკს, კულტურას, წიგნიერებას, ავადობას ან ფსიქიკურ დარღვევებს. სიღარიბეს ან ეკონომიკურ სირთულეებს ან დამოკიდებულებას უნიკალური ბუნებრივ რესურსებზე.

ადგილობრივი საჯარო დაწესებულებები, როგორიცაა სათემო ცენტრები და იუსტიციის სახლები მომარაგდება გასავრცელებელი მასალით, საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაციით და პროექტთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციით. მოქალაქეებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართვის კოორდინატორს ექნება წვდომა პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ მექანიზმებზე - როგორიცაა: მოთხოვნის შეფასების კვლევები, ტრენინგები და სხვა — რათა პროაქტიულად გავრცელდეს ინფორმაცია და მიღებული იქნას უკუკავშირი ადგილობრივი მოსახლეობისაგან, ჩატარდეს კონსულტაციები, დამხმარე კვლევითი სამუშაოები და უზრუნველყოფილი იქნას პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის ფუნქციონირება. ამასთან, დაინტერესებული მხარეები შეძლებენ გამოიყენონ სხვადასხვა არხები (ტელეფონი, ელ-ფოსტა, სოციალური მედია და პროექტის ვებგვერდი) პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად ან საკუთარი კომენტარების და იდეების წარმოსადგენად პროექტის ციკლის განმავლობაში.

ყველა საჯარო კონსულტაციის დეტალური ჩანაწერი იქნება შენახული. ოქმს თან დაერთვება კონსულტაციების დროს გადაღებული ფოტოები და მონაწილეთა სია, საკონტაქტო ინფორმაციითა და ხელმოწერებით.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გაგრძელდება სამშენებლო ფაზის განმავლობაში და მომზადდება ჩანაწერები კონსულტაციების დროს წამოჭრილი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების და მიღებული საჩივრების, ასევე საველე ვიზიტების, საინფორმაციო დისკუსიების, ფორმალური წერილების და სხვათა შესახებ.

ჩანაწერები შენახული იქნება პროექტის ოფისში, Open Net-ში. პროექტი უზრუნველყოფს განსხვავებულ აქტივობებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის, მათ შორის ინფორმაციის გამჟღავნებას. ასევე გატარდება ზომები ზემოთ ხსენებული მოწყვლადი ჯგუფების პროექტის აქტივობებში ჩართვისა და შესაბამისი სარგებლის მიღების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული, სხვა ზომებთან ერთად მოიცავს შემდეგს: შინამეურნეობებისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა, სატელეფონო ზარები, სოციალური მედია და სხვა, სოციალური დისტანცირების მოთხოვნების შესაბამისად. ინფორმაცია გავრცელდება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ამ ჯგუფებით მჭიდროდ დასახლებულ თემებში. შემდგომ, როდესაც დაიგეგმება ცნობიერების ამაღლების კამპანია საქართველოს მასშტაბით, ყველა რეგიონში კომუნიკაცია შედგება საჭიროების შესაბამისად, და ასევე მოერგება რეგიონის სპეციფიურ ადგილობრივ გარემოებებს.

ცხრილი 3. დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმა

სამიზნე დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის თემები	მეთოდი	ლოკაცია /სიხშირე	პასუხისმგებლობებ
კერძო და სახელმწიფო დაწესებულებები	პროექტის შესახებ ინფორმაცია მათ შორის E&S ინსტრუმენტები, პროექტის სარგებელი, საჩივრების განხილვის მექანიზმი, უკუკავშირი	საინფორმაციო შეხვედრები, კავშირი ელ-ფოსტით, ტელეფონით; რესპონდენტებად ჩართვა პროექტის კვლევებში, მოთხოვნის შეფასების კვლევები, ქსელის გაშვების წინ	ოფისის მეშვეობით ან პირდაპირი ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან, მინიმუმ წელიწადში სამჯერ, პროექტის დასაწყისში, შუალედურ პერიოდში და ბოლოს, უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი უკუკავშირის არხები (საინფორმაციო მაგიდები, ტელეფონი, ელ-ფოსტა, ვებ პლატფორმა)	Open Net
ინდივიდები და ბიზნესები სოფლად, სადაც მოქმედებს პროექტი Log in Georgia	ინფორმაცია პროექტის შესახებ მათ შორის E&S ინსტრუმენტები, პროექტის პროგრესი, პროექტის სარგებელი, საჩივრების განხილვის მექანიზმი, უკუკავშირი	საინფორმაციო შეხვედრები დისკუსიები ფოკუს ჯგუფში, კვლევები, ტრენინგ პროგრამები, მოთხოვნის შეფასების კვლევა ქსელის გაშვებამდე	შესაბამის მუნიციპალიტეტებში მინიმუმ წელიწადში სამჯერ, პროექტის დასაწყისში, შუალედურ პერიოდში და ბოლოს, უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი უკუკავშირის არხები (საინფორმაციო მაგიდები, ტელეფონი, ელ-ფოსტა, ვებ პლატფორმა)	Open Net
ინტერნეტ სერვისის მომწოდებლები და სხვა მედია არხები	პროექტის პროგრესი, ინფორმაცია პროექტის შესახებ, პროექტის სარგებელი,	საინფორმაციო შეხვედრები, პერიოდული კონსულტაციები მოთხოვნის შეფასებისთვის,	ზოგადად და რეგიონებში, მშენებლობის დაწყებამდე	Open Net

	პროექტის გამჭვირვალობა	მოთხოვნის შეფასების კვლევები ქსელის გაშვებამდე კლიენტის მართვის აქტივობების ON-ის მეშვეობით		
სოფლის და რეგიონის ხელისუფლება	პროექტის პროგრესი, ინფორმაცია პროექტის შესახებ, პროექტის სარგებელი, საჩივრების განხილვის მექანიზმი, უკუკავშირი	საინფორმაციო შეხვედრები, მოთხოვნის შეფასების კვლევები ქსელის გაშვებამდე, კავშირი ელ - ფოსტით, ტელეფონით; რესპონდენტებად ჩართვა პროექტთან დაკავშირებულ კვლევებში	შესაბამის მუნიციპალიტეტებში მშენებლობის დაწყების წინ, როგორც მოთხოვნის შეფასების ნაწილი. უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი უკუკავშირის არხები (საინფორმაციო მაგიდები, ტელეფონი, ელ-ფოსტა, ვებ პლატფორმა)	Open Net
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები	პროექტის პროგრესი, ინფორმაცია პროექტის შესახებ, პროექტის სარგებელი, პარტნიორობა და ერთობლივი პროგრამები, უკუკავშირი	პერიოდული კონსულტაციები, პროექტთან დაკავშირებული კვლევები, ტრენინგი	ცენტრალურად მართული და განხორციელებული კონსულტაციები, დაინტერესებული მხარეების ფართო ჯგუფთან	Open Net
პოტენციური ინვესტორები	პროექტის პროგრესი, ინფორმაცია პროექტის შესახებ, პროექტის სარგებელი, საჩივრების განხილვის მექანიზმი, უკუკავშირი	საინფორმაციო შეხვედრები, პრეზენტაცია	ინვესტორი და /ან Open Net -ის ოფისები [უწყვეტად ან პროექტის დასაწყისში და დასასრულს	Open Net

საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლები, უნივერსიტეტები	განათლების გაუმჯობესება, ახალი შესაძლებლობები, საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობა პროგრამაში, კავშირის უზრუნველყოფა და დისტანციური სწავლება სოფლად	მოთხოვნის შეფასების კვლევები ქსელის გაშვების წინ, პროექტით დაფინანსებული ტრენინგ პროგრამები, კვლევები, ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები	თითოეულ დასახლებაში როგორც მოთხოვნის შეფასების კვლევების ნაწილი და პროექტთან დაკავშირებული კვლევები	Open Net
მოწყვლადი ჯგუფები (ქალები და შინამეურნეობები რომელთა უფროსი ქალია, ასაკოვანი ადამიანები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მათი მომვლელები; ეთნიკური უმცირესობები; ახალგაზრდები, NEETs)	ზემოთ ჩამოთვლილ საკონსულტაციო აქტივობებში ჩართვასთან ერთად, მოწყვლადი ჯგუფებისათვის დაიგეგმება შემდეგი: ღარიბი და უნარების არ მქონე პირების ჩართვა ციფრული წიგნიერების პროგრამებში, რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა	ციფრული წიგნიერების ბანაკები, წიგნიერების პროგრამები, კავშირის სხვა დაინტერესებულ პირებთან ტრენინგების მიზნებისთვის, საინფორმაციო შეხვედრები, პრეზენტაციები, სამუშაო შეხვედრები	თითოეულ დასახლებაში როგორც მოთხოვნის შეფასების კვლევების ნაწილი და პროექტთან დაკავშირებული კვლევები; 2-ე კომპონენტის ფარგლებში, პროექტით დაკავშირებულ ყოველ დასახლებაში განხორციელებული ტრენინგის პროგრამები და აქტივობები	Open Net
სხვა დაინტერესებული მხარეები	პროექტის პროგრესი, ინფორმაცია პროექტის შესახებ, პროექტის სარგებელი, საჩივრების განხილვის	საინფორმაციო შეხვედრები, პრეზენტაცია	Open Net -ის ოფისებსა და მუნიციპალიტეტებში, საჭიროების შესაბამისად პროექტის განხორციელების პროცესში	Open Net

	მექანიზმი, უკუკავშირი			

რესურსები და პასუხისმგებლობები დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის

მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმის პირველადი ბიუჯეტი მოცემულია 3-ე ცხრილში. ზემოთ განხილული დაინტერესებული მხარეების ჩართვის აქტივობები მოიცავს სხვადასხვა საკითხებს, რომლებიც შესაძლოა იყოს სხვა პროექტის დოკუმენტის ნაწილი; შესაბამისად შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სხვა გეგმების ბიუჯეტში. კერძოდ, მოთხოვნის შეფასება და დაინტერესებული მხარეების კონსულტირება ON ქსელის (კომპონენტი 1.1) ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია კონკრეტული კომპონენტის ბიუჯეტის ფარგლებში, ისევე როგორც დაინტერესებული მხარეების და მოქალაქეების ჩართვის აქტივობები განეკუთვნება 2-ე კომპონენტს (უძღვება კომუნიკაციების კომისია).

პროექტი დააფინანსებს ტრენინგ პროგრამების განხორციელებას, ციფრული შესაძლებლობების სერვისების გამოყენების და მოწყვლადი მოსახლეობის ციფრული ინკლუზიის ხელშეწყობის გზით. ამ აქტივობების განხორციელება ხელს შეუწყობს ტრენინგ პროგრამების წარმატებით განხორციელებას და სხვა ორგანიზაციებთან პარტნიორობას საქართველოში. ეს ადამიანები ასევე გაუწევენ კოორდინაციას 2- ე კომპონენტის აქტივობების განხორციელებას თითოეულ დასახლებაში, და უზრუნველყოფენ ფიზიკურ გარემოს დაინტერესებული მხარეების ჩართვისათვის, რეგიონებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობებს, გაუმჯობესებული კოორდინაციის და მონიტორინგის მიზნებისთვის. Open Net განიხილავს ამ გეგმას ყოველწლიურად, რათა განსაზღვროს ნებისმიერი ცვლილების საჭიროება დაინტერესებული მხარეების კლასიფიკაციაში ან ჩართულობაში. ამგვარი საჭიროების არსებობის შემთხვევაში გეგმა განახლდება და ბიუჯეტი გადაისინჯება შესაბამისად.

ცხრილი 4. შეფასებული SEP ბიუჯეტი (6 წელი)

დაინტერესებული მხარეების ჩართვასთან დაკავშირებული აქტივობები	Q-ty	ერთეულის ღირებულება აშშ დოლარი	მთლიანი ღირებულება (აშშ დოლარი)
საველე ღონისძიებების და GRM -ის საკითხებზე ტრენინგი Open Net -ის, თანამშრომლებისთვის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის	4	500	2,000
ტრენინგები PIE -ს თანამშრომლების და კონსულტანტებისთვის, საველე სამუშაოებში ჩართული შემსრულებლებისთვის	4	500	2,000
საკომუნიკაციო მასალები (ბროშურები, პლაკატები, პიარის ნაკრები, მათ შორის დიზაინი ერთ დასახლებაზე)	-	-	20,000
თანამშრომლების სამგზავრო ხარჯები (ხარჯი 5 წლისთვის)	-	5,000	25,000
ქვე ჯამი			49,000
გაუთვალისწინებელი ხარჯები			6,000
ჯამი			55,000

SEP -ის განხორციელების პასუხისმგებლობა ეკისრება Open Net -ს. გარემოსა და სოციალური საკითხების სპეციალისტი გააგრძელებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელების ზედამხედველობას (გასაჩივრების მექანიზმის ჩათვლით).

The Environmental and Social Specialist of Open Net will continue his activities to oversee the implementation of the SEP, including the functions of the Grievance Redress Mechanism (

საჩივრების განხილვის მექანიზმი

შეიქმნება საჩივრების განხილვის მექანიზმი, რათა PAP -ს მიეცეს შესაძლებლობა გაასაჩივროს აქტივობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, აქტივების

ან შემოსავლის წყაროების და მათი კომპენსაციის ასევე პროექტით გამოწვეული ნებისმიერი პრობლემის შესახებ. GRM ჩაწერს ნებისმიერი ტიპის საჩივარს. ანონიმური საჩივრები ასევე მიიღება, ჩაიწერება და დაექვემდებარება შემდგომ გამოძიებას.

უზრუნველყოფილი იქნება საჩივრების მიღების სხვადასხვა არხები, მათ შორის ელ - ფოსტა, ტელეფონი, ფოსტა, ვებზე დაფუძნებული კომენტარების ყუთი, ასევე შესაძლებელია საჩივრის პირადად გადაცემა Open Net -ის გუნდისთვის. საიტზე მიწოდებული ვერბალური საჩივრები ასევე ჩაიწერება და დამუშავდება GRM-ით. პროექტის / GRM -ის ბროშურა მომზადდება და გავრცელდება პროექტის ყველა ლოკაციაზე. პროექტის ობიექტებზე მომუშავე ადგილობრივი საინფორმაციო ოფისის თანამშრომლები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, კონტრაქტორები /კონსულტანტები /არასამთავრობო ორგანიზაციები გაივლიან Open Net-ის ორგანიზებულ ტრენინგებს საჩივრების მიღების და დამუშავების საკითხებზე, პროექტის GRM -ის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

ეტაპი 1 - თითოეულ ლოკაციაზე მომუშავე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, საინფორმაციო ოფისის თანამშრომელი, კონტრაქტორი, კონსულტანტი ან პროექტის განხორციელებით დაინტერესებული პირი მიიღებს ინფორმაციას GRM -ის შესახებ, ამასთან მას მოეთხოვება საჩივრების ჩაწერის და ადგილობრივ დონეზე საკითხის მოგვარების ხელშეწყობა. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს GRM-ის ფუნქციონირებას და საჩივრების კონსოლიდირებული ჟურნალის წარმოებას. ადგილზე მომუშავე კონტრაქტორს /კონსულტანტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რომ საჩივრები, რომლებიც შესაძლებელია PAP -ებისგან მიიღონ დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს Open Net -ის საკონტაქტო პირებს, რომლებიც შემდგომ მოაწყობენ შეხვედრას და განიხილავენ საჩივარს მომჩივან PAP -თან ერთად.

ეტაპი 2 – საჩივრები რომელთა გადაწყვეტა ადგილობრივ დონეზე ვერ მოხერხდება, გადაეცემა საჩივრების განხილვის კომისიას (GRC) Open Net -ში. GRC შეიქმნება Open Net -ის დირექტორის ბრძანებით, მაში იქნება სულ მცირე სამი წევრი, მათ შორის მოქალაქეების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და კომუნიკაციის მენეჯერი. GRC გამოიძიებს საჩივარს და საჭიროების მიხედვით აცნობებს გადაწყვეტილებას PAP -ს.

პროცესის ყველა ეტაპზე მომჩივან PAP -ებს შეუძლიათ განაგრძონ მოქმედება და საქმე შეიტანონ შესაბამის სასამართლოში.

ყველა საჩივრის აღიარება უნდა მოხდეს მიღებიდან 48 საათში და მასზე რეაგირება უნდა მოხდეს 10 სამუშაო დღის ვადაში. თუ საჩივრის გადაწყვეტა უფრო ხანგრძლივ პროცესს მოითხოვს, მომჩივანს 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა ეცნობოს

განხორციელებული საქმიანობის და შემდგომი ნაბიჯების შესახებ. არც ერთი საჩივრის გადაწყვეტას არ უნდა დაჭირდეს ერთ თვეზე მეტი; გარდა იმ შემთხვევისა როდესაც საქმე გადადის სასამართლოში ან საქმეს ახანგრძლივებს Open Net -ი ადექვატური დასაბუთებით.

წარმოებს საჩივრების დეტალური ჟურნალი და წარედგინება ბანკს პროგრესის რეგულარულ ანგარიშთან ერთად, მსოფლიო ბანკის გუნდის მოთხოვნის შესაბამისად.

პროექტის განხორცილების პროცესში წარდგენილი საჩივრები და მათი ეფექტურად გადაწყვეტის გზები მოცემულია Open Net -ის მიერ მომზადებულ ექვსთვიან ანგარიშში, რომელიც წარედგინება მსოფლიო ბანკს.

პროექტის განხორციელების პერიოდში სულ გამოვლინდა ხუთი საჩივარი — ყველა მათგანი გამოთქმული იყო ზეპირი ფორმით. ერთი საჩივარი ეხებოდა ხელფასების გადახდის დაგვიანებას; მეორე ტრანშეის აღდგენის სამუშაოების ხარისხს; ორი საჩივარი კაბელის მარშრუტის ცვლილებას უკავშირდებოდა, ხოლო ერთ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობა ითხოვდა აგრეგაციის წერტილის მდებარეობის შეცვლას.

საჩივრების გადაჭრის პროცესის დასაჩქარებლად, ON-ის სპეციალისტები შეხვდნენ ადგილობრივი საზოგადოებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს. შეხვედრების შედეგები მიეწოდა სამშენებლო კომპანიას და ზედამხედველ საინჟინრო ჯგუფს. შედეგად, საჩივრები განხილული და გადაწყვეტილი იქნა. მიღებული საჩივრების შესახებ ინფორმაცია ასახულია ON-ის ექვსთვიან ანგარიშებში, რომლებიც ბანკს წარედგინება.

პროექტი წარმოადგენს SEA/SH-ის (სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობისა და სექსუალური შევიწროების) პრევენციისა და შემსუბუქების ზომებს, როგორიცაა ქცევის კოდექსი და ცნობიერების ამაღლება ყველა თანამშრომლისთვის, SEA/SH-ს გასაჩივრების მექანიზმი, ცნობიერების ამაღლების სესიები ადგილობრივი თემებისთვის ამ ზომებისა და ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ. გასაჩივრების მექანიზმი ითვალისწინებს დაზარალებულთა ანონიმურობის დაცვას. საჭიროების შემთხვევაში, Open Net მიმართავს ქვეყანაში არსებული შესაბამისი სერვისებს ამ მიმართულებით. ეს მოიცავს პოლიციის მხარდაჭერას, იურიდიულ დახმარებას, ჯანდაცვით და ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, თავშესაფრით უზრუნველყოფას და სხვა სახის მხარდაჭერას, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდამჭერი ჯგუფები აწვდიან. გადაუდებელი შემთხვევებისას, პოლიციასთან დაკავშირება შესაძლებელია ქვეყნის მაშტაბით მოქმედი ცხელი ხაზის - 112-ის მეშვეობით (ასევე დაკავშირებულია გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასთან), რომელიც სწრაფად რეაგირებს და, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, უფლებამოსილია გასცეს შეზღუდვის ბრძანება და/ან დაიწყოს სისხლის სამართლის გამოძიება.

ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (ATIPFUND) წარმოადგენს მთავარ საკონტაქტოორგანიზაციას და ძირითად სახელმწიფო ინსტიტუციას, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებას გენდერული ძალადობის, მათ შორის ოჯახური ძალადობის, სექსუალური ძალადობისა და ტრეფიკინგის მსვერპლთათვის. ATIPFUND მართავს სერვისების ქსელს თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მეშვეობით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ეს მოიცავს ფსიქოსოციალურ დახმარებას, რეაბილიტაციას, სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას, იურიდიულ დახმარებას (სასამართლოებში და სამართალდამცავ ორგანოებში წარდგენა), თარგმნის მომსახურებას, საზოგადოებაში რეინტეგრაციას, თავშესაფარსა და ონლაინ კონსულტაციებს, ასევე მუშაობს 24/7 ცხელი ხაზი (116 006), რომელიც ხელმისაწვდომია 8 ენაზე. ფონდი პარტნიორობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელებისა და იმ რეგიონებში მომსახურების უზრუნველსაყოფად, სადაც ATIPFUND-ის რეგიონული წარმომადგენლობა შედარებით სუსტია.

დაინტერესებული მხარეების ჩართვის გეგმის მონიტორინგი და მის შესახებ ანგარიშგება

პროექტის მიმდინარეობის პროცესში, SEP-ები პერიოდულად ახლდება საჭიროების შემთხვევაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას განახლებული და თანმიმდევრული ინფორმაცია, და ჩართვის მეთოდების შესაბამისობა პროექტის კონტექსტსა და განვითარების კონკრეტულ ფაზებთან. SEP -ის მონიტორინგს განახორციელებენ PIE -ს დირექტორი და მისი მხარდამჭერი მოქალაქეების და დაინტერესებული მხარეების ჩართვის და კომუნიკაციის ოფიცერი. პროექტის აქტივობების ან გრაფიკის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, სათანადოდ აისახება SEP -ში. საჩივრების, ძიების და მასთან დაკავშირებული ინცინდენტების კვარტალური შეჯამება და შიდა ანგარიშები, გამასწორებელი /პრევენციული აქტივობების შესახებ ინფორმაცია შეგროვდება GRM ოფიცრის / მოქალაქეების და დაინტერესებული მხარეების ჩართვის და კომუნიკაციის მენეჯერის მიერ, და წარედგინება პროექტის ხელმძღვანელობას. კვარტალური შეჯამებები უზრუნველყოფს საჩივრების ხასიათის და რაოდენობის შეფასების მექანიზმს და ითხოვს ინფორმაციას აღნიშნულის დროული და ადექვატური მოგვარებისთვის პროექტის შესაძლებლობების შესახებ. წლის განმავლობაში პროექტის მიერ საზოგადოების ჩართვის მიმართულებით საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, დაინტერესებულ მხარეებს შესაძლოა წარედგინოს ორი გზით:

- წლიური ანგარიში დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის ურთიერთობის შესახებ.

- ბენეფიციარების უკუკავშირის ინდიკატორის რეგულარული მონიტორინგი. ინდიკატორი განისაზღვრება განახლებულ SEP -ში და შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს: ანგარიშგების პერიოდში ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა, მათ შორის ტელეკომუნიკაციების გამოყენებით (მაგალითად: ყოველთვიური, კვარტალური ან წლიური); ანგარიშგების პერიოდში საზოგადოებისაგან მიღებული საჩივრების რაოდენობა (მაგალითად: ყოველთვიური, კვარტალური ან წლიური) და მათგან ანგარიშგების პერიოდში გადაწყვეტილების რაოდენობა; ადგილობრივი, რეგიონული, ცენტრალური მედია საშუალებებით გავრცელებული მასალების რაოდენობა.

დანართი: საინფორმაციო შეხვედრის მონაწილეთა სია:

(არაა დართული კონფიდენციალურობის დაცვის გამო)